



არასრულწლოვნის სასჯელის მიზნები

ქეთევან ბითაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იოსებ ვარძელაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ბითაძე

01.07.2019.

აბსტრაქტი

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასჯელის მიზნების თეორიული და პრაქტიკული მახასიათებლები. კვლევის მიზანია მკითხველისათვის თვალსაჩინო გახდეს ბავშვის სასჯელის მიზნები, განიმარტოს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების სამართლებრივი შედეგები და აპელირება გაკეთდეს არასრულწლოვნის სასჯელის მიზნების აღსრულებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ პრობლემებზე. კონკრეტული ნაშრომი ეფუძნება სამეცნიერო წყაროების შესწავლასა და მათ გაანალიზებას, ხოლო მეთოდოლოგია ფოკუსირდება პარალელზე საქართველოს საკანონმდებლო სივრცესა და საერთაშორისო მიდგომებს შორის. კვლევის შედეგმა ცხადყო ის ლაფსუსები, რომელიც საერთო სასამართლოთა სისტემას ახლავს არასრულწლოვნის სასჯელის მიზნების დასაბუთების ასპექტში, ამასთან წარმოჩინდა შიდასახელმწიფოებრივი ხარვეზები საკვლევი საკითხის ირგვლივ, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ დონეზე. მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ღირებულია თავისი შინაარსით, ვინაიდან მასში განხილული საკითხი აქტუალურია, საქართველოსა და თანამედროვე მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებში. ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობით პასუხი გაეცა კითხვას, თუ რას მოიცავს არასრულწლოვნის სასჯელის მიზნები და როგორია მათი როლი კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის ცხოვრებისეულ ფორმირებაში. ამასთან სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რისი გაითვალისწინება მართებს მოსამართლეს სასჯელის დასაბუთების ნაწილში. კვლევის ფორმატში ძირითადი საძიებო სიტყვებია: რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, ინტეგრაცია, პროგრესიზაცია, ნოვაცია, პრევენცია, მართლმსაჯულება.

Abstract

In the given master's thesis there is discussed theory and practical characteristics of the aims of the punishment of underage being in conflict with the law. The aim of the research to make it clear for the reader aims of punishment of child, to explain re-socialization-rehabilitation and legal aims of avoiding of new crime and to make appeal on practical problems concerning execution of aims of the punishment of underage. The particular thesis is based on learning of scientific sources and their analyzing, and methodology is focused on parallel between legislation space and international approaches. The result of the research made it clear those flaws, which belongs to common court system in aspect of justification of aims of punishment of underage, also there was seen internal state flaws around the subject to be researched, as theoretical as well as practical level. The particular master's thesis is valued with its content, because the issue discussed in it is actual, in legal systems of Georgia and modern world. With the discussion represented in the thesis there was answered the question, what contains the aims of punishment of underage and who it looks like their role with conflict with law in life formation of child. Also in the process of making decision from the court, which should be considered by the judge in the part of justification of punishment. In the research format the key words are: re-socialization, rehabilitation, integration, progress, novation, prevention, justice.